

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 1 9 4

ქ. ბათუმი, 30 მაისი 2018 წ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ზოგიერთი თანამშრომლისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1833 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს წინამდებარე ბრძანების დანართით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს (თანამშრომლებს) მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელონ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის „eDocument“-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, მერიაში მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით შემოსული (გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული) დოკუმენტის მიღება, პირველადი დამუშავება და რეგისტრაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1833 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე, ასევე საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების გამოქვეყნების ადგილზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე).

3. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ხელმძღვანელს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი